საქსტატი
www.geostat.ge

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

სასაკლაოების, ელევატორებისა და სამაცივრე მეურნეობების გამოკვლევის ძირითადი შედეგები

2025

15.06.2026
www.geostat.ge

15.06.2026

სასაკლაოების,ელევატორებისა და სამაცივრე მეურნეობების გამოკვლევის ძირითადი შედეგები (2025 წელი)

სასაკლაოები

2025 წელს საქართველოში 132 ერთეული ცხოველთა და ფრინველთა სასაკლაო ფუნქციონირებდა. მათგან 18.9 პროცენტი – შიდა ქართლის რეგიონში, 18.2 პროცენტი – ქვემო ქართლის რეგიონში, 17.4 პროცენტი – კახეთის რეგიონში, 13.6 პროცენტი – იმერეთის რეგიონში, 9.8 პროცენტი – სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონში მდებარეობს, ხოლო დანარჩენი 22.0 პროცენტი სხვა რეგიონებშია განთავსებული.

საქართველოში მოქმედი ცხოველთა და ფრინველთა სასაკლაოები რეგიონების მიხედვით, 2025 წელი



2025 წლის განმავლობაში სასაკლაოებში დაიკლა 511.1 ათასი სული პირუტყვი, მათ შორის 32.0 პროცენტი – მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი, ხოლო 68.0 პროცენტი – წვრილფეხა (ცხვარი, თხა, ღორი და სხვა). გარდა ამისა, საანგარიშო პერიოდის განმავლობაში სასაკლაოებში დაკლული ფრინველის რაოდენობა 12 351.6 ათასი ერთეულით განისაზღვრა.

სასაკლაოების მიერ 2025 წლის განმავლობაში 65 279.8 ტონა ხორცი იქნა წარმოებული (დაკლული წონა, ფრინველის ხორცის ჩათვლით), საიდანაც 30.0 პროცენტი მოდის მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის ხორცზე, 33.4 პროცენტი – ფრინველის, 35.9 პროცენტი – ღორის, 0.6 პროცენტი – ცხვრისა და თხის ხორცზე, ხოლო დანარჩენს უმნიშვნელო წილი უკავია.

2025 წლის განმავლობაში სასაკლაოებში წარმოებული ხორცისგან სასაკლაოს მიერ შესყიდული იყო 9 436.9 ტონა, საიდანაც 29.9 პროცენტი მოდის მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის ხორცზე, 6.9 პროცენტი – ფრინველის ხორცზე, ხოლო 62.6 პროცენტი – ღორის ხორცზე.

2025 წლის განმავლობაში მომსახურება გაეწია 29.0 ათას პირს, საიდანაც 51.3 პროცენტი შინამეურნეობების (ოჯახური მეურნეობები) სახით იყვნენ წარმოდგენილნი. სასაკლაოებში დასაქმებულთა საშუალოთვიურმა რაოდენობამ 1 094 კაცი შეადგინა.

ერთეული პირუტყვის დაკვლაზე მომსახურების საშუალო ფასი შემდეგნაირი იყო: მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის დაკვლის საფასური – 40.2 ლარი, ცხვრის ან თხის – 13.6 ლარი, ღორის – 33.8 ლარი.

სასაკლაოების თითქმის ნახევარი (47.0 პროცენტი) სრულად არის აღჭურვილი თანამედროვე ტექნოლოგიებით, 45.5 პროცენტი აღჭურვილია ნაწილობრივ, 7.6 პროცენტი კი არ არის აღჭურვილი თანამედროვე ტექნოლოგიებით.

სასაკლაოების 65.9 პროცენტი არ სარგებლობს სესხით, ხოლო 34.1 პროცენტს აღებული აქვს სესხი სხვადასხვა მიზნით. სესხით მოსარგებლეთა 57.8 პროცენტს სესხი აღებული აქვს ძირითადი კაპიტალის შეძენისთვის, 28.9 პროცენტს – საბრუნავი კაპიტალისათვის, ხოლო 13.3 პროცენტს – როგორც ძირითადი, ასევე საბრუნავი კაპიტალისთვის.

15.06.2026

სამაცივრე მეურნეობები

2025 წელს საქართველოში 445 ერთეული სამაცივრე მეურნეობა ფუნქციონირებდა, რომელთა უმრავლესობაც შიდა ქართლის რეგიონშია (60.7 პროცენტი) განთავსებული. მოქმედი სამაცივრე მეურნეობები ასევე განთავსებულია: ქ. თბილისში (10.1 პროცენტი), კახეთში (7.9 პროცენტი), ქვემო ქართლში (4.9 პროცენტი), სამეგრელო-ზემო სვანეთში (4.5 პროცენტი), იმერეთში (4.5 პროცენტი), აჭარის არ-ში (3.1 პროცენტი), სამცხე-ჯავახეთში (1.8 პროცენტი), გურიაში (1.3 პროცენტი), მცხეთა-მთიანეთში (0.9 პროცენტი) და რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის (0.2 პოცენტი) რეგიონში.

საქართველოში მოქმედი სამაცივრე მეურნეობები რეგიონების მიხედვით, 2025 წელი



15.06.2026

2025 წლის განმავლობაში მომსახურება გაეწია 533 მომხმარებელს. მწარმოებელთა და გადამყიდველთა რაოდენობამ, რომელთა განაც შესყიდულ იქნა პროდუქცია შემდგომი რეალიზაციის მიზნით, 1 531 ერთეული შეადგინა, ხოლო სამაცივრეებში დასაქმებულთა საშუალოთვიური რაოდენობა 2 168 კაცით განისაზღვრა.

2025 წლის განმავლობაში მაცივრებში შენახული (განთავსებული) იყო 381.7 ათასი ტონა პროდუქცია, მათ შორის 34.6 პროცენტი – ქათმის ხორცი (გაყინულის ჩათვლით), 21.2 პროცენტი – პირუტყვის ხორცი და ხორცპროდუქტები (ნახევარფაბრიკატების ჩათვლით), 16.2 პროცენტი – თევზეული, 15.6 პროცენტი – ხილი და ბოსტნეული, 6.9 პროცენტი – რძის პროდუქტები, ხოლო დანარჩენ პროდუქტებს 5.5 პროცენტი ეკავა.

მაცივრებში შენახული პროდუქტების სტრუქტურა, 2025 წელი



15.06.2026

სამაცივრე მეურნეობების მიერ შემდგომი რეალიზაციის მიზნით 2025 წლის განმავლობაში შესყიდულია 105.5 ათასი ტონა პროდუქცია. რაც შეეხება მომსახურების სახით მიღებულ შემოსავალს, მისმა სიდიდემ 27.3 მლნ. ლარი შეადგინა.

2025 წლის განმავლობაში სამაცივრე მეურნეობების მიერ გაყიდულია 901.0 მლნ. ლარის ღირებულების (118.8 ათასი ტონა) პროდუქცია, საიდანაც ღირებულებით გამოსახულებაში შედარებით დიდი ნაწილი (46.5 პროცენტი) იყო ადგილობრივი (შესყიდული) წარმოების. ამასთან, სამაცივრეების მიერ გაყიდული ადგილობრივი (საკუთარი წარმოების) პროდუქციის 39.8 პროცენტი მოდიოდა ქათმის ხორცზე. იმპორტირებული პროდუქციის მნიშვნელოვან მოცულობას რძის პროდუქტები (29.1 პროცენტი), პირუტყვის ხორცი და ხორცპროდუქტები (ნახევარფაბრიკატების ჩათვლით) (26.9 პროცენტი), ქათმის ხორცი (გაყინულის ჩათვლით) (14.8 პროცენტი) და თევზეული (11.6 პროცენტი) წარმოადგენდა.

სამაცივრეების მიერ გაყიდული პროდუქციისაგან უცხოურ ბაზარზე რეალიზებული იქნა 3.0 პროცენტი (ღირებულების მხრივ), რომლის მნიშვნელოვან ნაწილს ქათმის ხორცი (52.9 პროცენტი) და ხილ-ბოსტნეული (39.7 პროცენტი) წარმოადგენდა.

გამოკვლევის შედეგების მიხედვით, კამერების საშუალო დღიური დატვირთვა (პროცენტულად კამერების ჯამური ტევადობიდან) იანვარში შეადგენდა 55.6 პროცენტს, თებერვალში – 49.2 პროცენტს, მარტში – 43.3 პროცენტს, აპრილში – 46.4 პროცენტს, მაისში – 47.4 პროცენტს, ივნისში – 59.0 პროცენტს, ივლისში – 55.1 პროცენტს, აგვისტოში – 51.8 პროცენტს, სექტემბერში – 49.8 პროცენტს, ოქტომბერში - 59.7 პროცენტს, ნოემბერში – 57.4 პროცენტს, ხოლო დეკემბერში – 50.4 პროცენტს.

სამაცივრე მეურნეობების 66.3 პროცენტი თანამედროვე ტექნოლოგიებით აღჭურვილია სრულად, 30.3 პროცენტი – ნაწილობრივ, ხოლო 3.4 პროცენტი საერთოდ არ არის აღჭურვილი თანამედროვე ტექნოლოგიებით.

სესხით სარგებლობს სამაცივრე მეურნეობების 61.3 პროცენტი. სესხით მოსარგებლეთა 39.6 პროცენტს სესხი აღებული აქვს მხოლოდ ძირითადი კაპიტალისთვის (ახლის შეძენის ან არსებულის გაუმჯობესების მიზნით), 56.4 პროცენტს – მხოლოდ საბრუნავი კაპიტალისათვის, ხოლო 4.0 პროცენტს – როგორც ძირითადი, ისე საბრუნავი კაპიტალისათვის.

ელევატორები

2025 წელს საქართველოში 36 ელევატორი ფუნქციონირებდა, რომელთა უმრავლესობაც ქვემო ქართლის (36.1 პროცენტი) და სამეგრელო-ზემო სვანეთის (19.4 პროცენტი) რეგიონებში იყო განთავსებული. ელევატორების 13.9 პროცენტი ფუნქციონირებდა კახეთის რეგიონში, 11.1 პროცენტი – შიდა ქართლის რეგიონში, 8.3 პროცენტი – იმერეთის რეგიონში, 8.3 პროცენტი – ქ. თბილისში, 2.8 პროცენტი კი – გურიის რეგიონში.

საქართველოში მოქმედი ელევატორები რეგიონების მიხედვით, 2025 წელი



2025 წლის განმავლობაში მომსახურება გაეწია 30 მომხმარებელს. მწარმოებელთა და გადამყიდველთა რაოდენობამ, რომელთაგანაც შესყიდულ იქნა პროდუქცია შემდგომი რეალიზაციის მიზნით, 75 ერთეული შეადგინა, ხოლო ელევატორებში დასაქმებულთა საშუალოთვიური რაოდენობა 425 კაცით განისაზღვრა.

2025 წლის განმავლობაში ელევატორებში შენახული (განთავსებული) იყო 500.8 ათასი ტონა პროდუქცია, რომლის 62.0 პროცენტს წარმოადგენდა ხორბალი, 22.0 პროცენტს – სოიოს შროტი, 7.0

პროცენტს – სიმინდი, 5.1 პროცენტს – ხორბლის ფქვილი, დანარჩენ პროდუქციას კი უმნიშვნელო წილი ჰქონდა.

2025 წლის განმავლობაში ელევატორების მიერ გაყიდულია 293.4 მლნ. ლარის ღირებულების 275.9 ათასი ტონა პროდუქცია, საიდანაც 54.3 პროცენტი (ღირებულების მიხედვით) იყო ადგილობრივი (საკუთარი) წარმოების.

ელევატორების მიერ პროდუქციის გადამუშავებასა და შენახვაზე გაწეულმა დანახარჯებმა 4.5 მლნ. ლარი შეადგინა.

ადგილობრივი (საკუთარი წარმოების) წარმოშობის პროდუქციაში როგორც მოცულობის, ისე ღირებულების მიხედვით ჭარბობდა ხორბლის ფქვილი (ელევატორების მიერ გაყიდული ადგილობრივი პროდუქციის ღირებულების 78.1 პროცენტი) და ქატო (13.9 პროცენტი).

გამოკვლევის შედეგების მიხედვით, ელევატორების საცავების საშუალო დღიურმა დატვირთვა (პროცენტულად საცავების ჯამური ტევადობიდან) იანვარში შეადგენდა 50.1 პროცენტს, თებერვალში – 51.4 პროცენტს, მარტში – 47.1 პროცენტს, აპრილში – 45.6 პროცენტს, მაისში – 45.2 პროცენტს, ივნისში – 45.8 პროცენტს, ივლისში – 51.8 პროცენტს, აგვისტოში – 51.9 პროცენტს, სექტემბერში – 52.6 პროცენტს, ოქტომბერში – 49.7 პროცენტს, ნოემბერში – 49.5 პროცენტს, ხოლო დეკემბერში – 46.5 პროცენტს.

ელევატორების 41.7 პროცენტი თანამედროვე ტექნოლოგიებით აღჭურვილია სრულად, 38.9 პროცენტი აღჭურვილია ნაწილობრივ, ხოლო 19.4 პროცენტი საერთოდ არ არის აღჭურვილი თანამედროვე ტექნოლოგიებით.

სესხით სარგებლობს ელევატორების 38.9 პროცენტი. სესხით მოსარგებლეთა 35.7 პროცენტს სესხი აღებული აქვს ძირითადი კაპიტალისთვის (ახლის შეძენის ან არსებული გაუმჯობესების მიზნით), 42.9 პროცენტს – საბრუნავი კაპიტალისათვის, 21.4 პროცენტს – როგორც ძირითადი, ასევე საბრუნავი კაპიტალისათვის.

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

საკონტაქტო პირები:

დავითი ჟორჟოლიანი, ტელ.: 2 36 72 10 (601) E-mail: dzhorzholiani@geostat.ge
მარიამ ყაველაშვილი, ტელ.: 2 36 72 10 (020), E-mail: mkavelashvili@geostat.ge